# ანასს ჰკითხეს როგორი იყო შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კითხვა (ყურანის)? მან თქვა: «ის იყო გაწელილი(მადდებით)

ყათადამ თქვა: ანასს ჰკითხეს როგორი იყო შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კითხვა (ყურანის)? მან თქვა: «ის იყო გაწელილი(მადდებით)» შემდეგ წაიკითხა: {ბისმილლაჰი, არრაჰმანი, არრაჰიიმ} (სახელითა ალლაჰისა მოწყალისა მწყალობლისა) [ალ-ფათიჰა:1] გააგრძელა ბისმილლაჰი, გააგრძელა არრაჰმანი და გააგრძელა არრაჰიიმ.
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ანას ბინ მალიქს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხეს თუ როგორი იყო შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყურანის კითხვა? მან უპასუხა: ის კითხვის დროს ხმას აგრძელებდა; ის აგრძელებდა "ალლაჰის" წაკითხვის დროს ასობგერა ლამს, რომელიც არის ჰა ასომდე, სიტყვა "არრაჰმაან"-ში აგრძელებდა ასობგერა მიმს, რომელიც არის ნუნ ასომდე, სიტყვა "არრაჰიიმ"-ში აგრძელებდა ასობგერა ჰას.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65245